



25 მარტი, 2014 წელი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
**საქართველოს ეროვნული პლატფორმის
განცხადება**

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა მხარს უჭერს არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების ერთობლივ ინიციატივას კამპანია „ეს შენ გეხებას“ განახლების თაობაზე.

მიგვაჩნია, რომ მიყურადების პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემა კვლავ აქტუალურია და საჭიროა სისტემური გარანტიების შექმნა იმისთვის, რომ გამოირიცხოს სამართალდამცავი ორგანოების თვითნებობა ამ მიმართულებით.

ვეთანხმებით კამპანია „ეს შენ გეხებას“ ინიციატორებს, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობის ზოგიერთი დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

მოვითხოვთ, პარლამენტის მიერ გაზიარებულ იქნას, კამპანია „ეს შენ გეხებას“ წინადადებები:

- შეიქმნას ეფექტიანი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სამართალდარღვევის გამოძიების მაღალ სტანდარტებს და, მეორე მხრივ, გამოირიცხავს სამართალდამცავი ორგანოების მიერ რიგითი მოქალაქეების პირადი ინფორმაციის თვითნებურად და დაუსაბუთებლად მოპოვების შესაძლებლობას;
- თვალთვალისა და მიყურადების განხორციელება შესაძლებელი იყოს მხოლოდ კონკრეტული პირების და დანაშაულის შემთხვევაში (მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების დროს);
- დადგინდეს ფარული მიყურადებისა და თვალთვალის ხანგრძლივობის ლიმიტები, რათა არ მოხდეს მისი თვითნებური ან გადაჭარბებული ვადით გამოყენება; ასევე ჩანაწერების შენახვისა და განადგურების ეფექტიანი რეგულაციები;

- შეიქმნას ფარული მიყურადებისა და თვალთვალის დამოუკიდებელი ზედამხედველობის მექანიზმი. გაიზრდება სასამართლოს და სხვა პასუხისმგებელი ორგანოების უფლებამოსილებები.
- გაიზარდოს სასამართლოსა და პარლამენტის როლი

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
2. ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. საქართველოს პრესის ასოციაცია
4. საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია
5. საზოგადოებრივი დამცველი
6. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
7. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
8. კავშირი "ეკოტექი"
9. ადამიანის უფლებათა ცენტრი
10. სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
11. გადავარჩინოთ მომავალი თაობა
12. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
13. საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
14. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
15. ენერგოეფექტურობის ფონდი
16. ასოციაცია ტოლერანტი
17. მეწარმე ქალთა ფონდი
18. ასოციაცია „დეა“
19. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
20. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
21. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
22. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი
23. რეპატრიანტთა კავშირი
24. ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
25. ჯანმრთელი სამყარო
26. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
27. ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
28. სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
29. საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია "საქართველოს ჩაი"
30. ახალგაზრდული ალტერნატივა
31. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
32. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"

33. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
34. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
35. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმოება"
36. კავშირი მდგრადი განვითარებასთვის „ეკოვიჯენ“
37. საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია
38. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი
39. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
40. ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
41. საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება
42. ახალგაზრდული ასოციაცია "დრონი"
43. ასოციაცია "მერკური"
44. კავკასიის ქალები საუნივერსიტეტო განათლებით
45. თავისუფალი არჩევანი
46. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
47. ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
48. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
49. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
50. საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაცია
51. ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
52. სტუდია "რე"
53. კივიტას გეორგიკა
54. კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი "კავკასიური სახლი"
55. ბორჯღალი
56. კონსტიტუციის 42-ე მუხლი
57. მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
58. ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია "ახლებური ხედვა"
59. ციხის საერთაშორისო რეფორმა
60. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
61. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია